

**ჩარლზ
დარვინის
ავტობიოგრაფია**

1809 - 1882



ჩარლზ დარვინის ავტობიოგრაფია

The Autobiography of Charles Darwin

პროექტის ავტორები და გამომცემლები:
ცოტნე ჯავახიშვილი და ზაალ კიკვიძე

ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ჭილაძემ და გია ჭუმბურიძემ

რედაქტორი ირმა ტაველიძე

მხატვარი კოტე სულაბერიძე

დამკაბადონებელი მაკა ცომაია

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2022
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-724-4

www.diogene.ge

გამომცემლებისგან – წინასიტყვაობის მაგიერ

დარვინის მთავარი წიგნი – სახეობების წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით, უმაღლესი ღირებულების სამეცნიერო ნაშრომი და კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის კუთვნილებაა. წმინდა მეცნიერულის გარდა, ეს წიგნი ადამიანის კიდევ უფრო ზოგადი, და ალბათ უმთავრესი ღირებულებების – თავისუფალი აზროვნების, და რაც მთავარია, ტიტანური შრომის კლასიკური მაგალითიცაა.

ჩარლზ დარვინის ავტობიოგრაფია მითების და გამოგონილი ამბების გარეშე გვიამბობს, ვინ იყო ადამიანი, რომელმაც კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენა გააკეთა – როგორ გაატარა ბავშვობა, რატომ არ უყვარდა სკოლა და საერთოდ სწავლა, რა გავლენა მოახდინეს მისი გონების და ხასიათის განვითარებაზე მეგობრებმა, მასწავლებლებმა და მეტოქეებმა, როგორი იყო მისი თვითშეფასება, რას ფიქრობდა საკუთარ მიღწევებზე...

ზაალ კიკვიძე
ჯაკარტა, მალაის არქიპელაგი

ცოტნე ჯავახიშვილი
სან დიეგო, კალიფორნია

მამაჩემის ავტობიოგრაფიული მოგონებები დაიწერა შვილებისთვის და დაიწერა გამოქვეყნებაზე ყოველგვარი ფიქრის გარეშე. ბევრს ეს იქნებ შეუძლებლად მოეჩვენოს, მაგრამ ვინც მამაჩემს იცნობდა, მიხვდება, რომ ეს არათუ შეუძლებელი არ არის, სრულიად ბუნებრივიც კია. ავტობიოგრაფია ასეა დასათაურებული: „მოგონებები ჩემი გონების და ხასიათის განვითარების შესახებ“ და თავდება შემდეგი ჩანაწერით: „3 აგვისტო, 1876. ჩემი ცხოვრების ამ მოკლე მიმოხილვის წერა 28 მაისს ჰოუფდენში დავიწყე და მას მერე თითქმის ყოველ საღამოს, სულ ცოტა, ერთ საათს მაინც ვუთმობდი ამ საქმეს“. ადვილი მისახვედრია, რომ ცოლისა და შვილებისთვის განკუთვნილი ასეთი პირადი ხასიათის მონათხრობში იქნებოდა რაღაც ადგილები, რომლებიც აუცილებლად უნდა გამოგვეტოვებინა. და ვიფიქრე, რომ საჭირო არ იყო იმის მითითება, რომელი ადგილები ამოვიღე. გასწორდა [მექანიკური] შეცდომებიც, მათი რიცხვი მინიმუმამდე შემცირდა.

ფრანსის დარვინი (ჩარლზის შვილი)
ავტობიოგრაფიის პირველი გამოცემების რედაქტორი

1876 წლის 31 მაისი მოგონებები ჩემი გონების და ხასიათის განვითარების შესახებ

როცა ერთმა გერმანელმა გამომცემელმა წერილობით მთხოვა, ჩემი გონების და ხასიათის განვითარებაზე მომეყოლა და ავტობიოგრაფიაზეც მეთქვა ორი სიტყვა, ვიფიქრე, რომ ეს მეც გამართობდა და, ალბათ, ჩემი შვილებისა თუ მათი შვილებისთვისაც საინტერესო იქნებოდა. ვიცი, რომ ძალიან დამაინტერესებდა პაპაჩემის გონების შესახებ მისივე ხელით დანერილი თუნდაც მოკლე, მშრალი მოგონება – ყველაფერი, რაზეც ფიქრობდა, რასაც აკეთებდა და, ზოგადად, მთელი მისი საქმიანობა. რაც შეეხება ჩემს მოგონებებს, ვცადე, ისე დამეწერა, თითქოს უკვე მკვდარი ვარ და საკუთარ ცხოვრებას სხვა სამყაროდან ვუყურებ. სხვათა შორის, ეს არც გამჭირვებია, რადგან ცხოვრების გზა თითქმის უკვე გავლილი მაქვს. დიდად არც ნაწერის სტილის გამო მიდარდია.

დავიბადე შრუზბერიში, 1809 წლის 12 თებერვალს. მამაჩემი ამბობდა ხოლმე, რომ სჯეროდა – ძლიერი გონების ადამიანები მახსოვრობაში ცხოვრების სულ ადრეულ მოგონებებსაც ინახავენ. ჩემს შემთხვევაში ასე არ მომხდარა, რადგან ყველაზე ადრეული მოგონებები იმ დროს უკავშირდება, როცა 4 წლის და რამდენიმე თვისა ვიყავი და ერთ დღეს ზღვაში საბანაოდ გავემგზავრეთ ებერგელის მახლობლად. აი, მაშინდელი ზოგიერთი ამბავი და ადგილი დამამახსოვრდა, თუმცა საკმაოდ ბუნდოვნად.

დედაჩემი 1817 წლის ივლისში გარდაიცვალა, როცა ის-ის იყო, 8 წელი შემისრულდა. უცნაურია, რომ მასზე თითქმის აღარაფერი მახსოვს სასიკვდილო სარეცლის, შავი ხავერდის კაბის და უცნაურად მონყობილი სამუშაო მაგიდის გარდა. ასე მგონია, ჩემი გულ-მავინყობა ნაწილობრივ ჩემივე დების ბრალი უნდა იყოს, რომლებიც ისე შეძრა დედის გარდაცვალებამ, რომ ამაზე ლაპარაკსაც და მისი სახელის ხსენებასაც გაურბოდნენ. ნაწილობრივ, ეს გულმავინყობა შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ დედამ სიკვდილამდე დიდხანს ივადმყოფა. იმავე წლის გაზაფხულზე შრუზბერის დაწყებით სკოლაში მიმაბარეს,¹ სადაც ერთი წელი ვიარე. სკოლაში შესვლამდე შინ მამეცადინებდა ჩემი და კაროლინა, თუმცა ეჭვი მეპარება, ეს ნამოწყება წარმატებული ყოფილიყო. როგორც მოგვიანებით მეუბნებოდნენ, სწავლაში ჩემი უმცროსი და – კატერინაც ბევრად მჯობდა და მეც მგონია, რომ პატარაობისას ჯიუტი, თავნება ბიჭი ვიყავი. კაროლინა ძალიან კეთილი, გონიერი და მონდომებული იყო, თუმცა სწორ გზაზე ჩემი დაყენების საქმეს ზედმეტი გულმოდგინებით ეკიდებოდა: ამდენი წლის მერეც ნათლად მახსოვს – იმ ოთახში შესვლამდე, სადაც ის იყო, როგორ ვეკითხებოდი ხოლმე საკუთარ თავს, ნეტა ახლა რაზე მომდებს შარს-მეთქი, და ბოლოს თავს ჩავგაგონე, რაც უნდა ეთქვა, გულთან არაფერი მიმეტანა.

როცა სკოლაში დავინყე სიარული, უკვე ძალიან მიზიდავდა ბუნებისმეტყველების ისტორია, განსაკუთრებით სხვადასხვაგვარი კოლექციების შეგროვება. ვცდილობდი, გამერკვია მცენარეების სახელები და თავს ვუყრიდი ათასნაირ ნივთსა და საგანს – ნიჟარებს, ტვიფრებს, ლითონის მონეტებსა თუ მინერალებს. კოლექციონერო-

1. ამ სკოლას სათავეში ედგა ღირსი მამა ჯ. ქეიზი, ჰაი-სტრიტზე მდებარე უნიტარიანული ეკლესიის წინამძღვარი. მისიზ დარვინი უნიტარიანელი იყო და მისტერ ქეიზის მრევლს ეკუთვნოდა, მამაჩემი კი პატარა ბიჭობიდანვე დადიოდა ამ ეკლესიაში, უფროს დებთან ერთად. თუმცა მამაც და მისი ძმაც სხვაგან მოინათლნენ – ინგლისის ეკლესიის წევრები გახდნენ. ბავშვობის მერე მამა უკვე არა მისტერ ქეიზის, არამედ სულ სხვა ეკლესიაში დადიოდა (ავტორის შენიშვნა).

ბის ეს ყინი, რაც ადამიანს მეთოდურ ნატურალისტად, ხელოვნების ნიმუშების დამფასებლად ან სულაც ძუნწად აქცევს, ჩემში მეტის-მეტად ძლიერად იგრძნობოდა, რაც აშკარად თანდაყოლილი უნდა ყოფილიყო, რადგან ჩემს და-ძმებში არც ერთი არ გამოიჩინოდა მსგავსი მიდრეკილებით.

იმავე წელიწადს მომხდარი ერთი ამბავი ღრმად ჩამებეჭდა გონებაში, რისი მიზეზიც ის უნდა იყოს, რომ მის გამო მერეც ხშირად მექნჯნიდა სინდისი. შემთხვევა იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ სავარაუდოდ, მცენარეების მრავალფეროვნება ადრეულ ასაკშიც არ მაძლევდა მოსვენებას. მოკლედ, ერთ ჩემს თანატოლს (მგონი, ლეიტონი² უნდა ყოფილიყო, შემდგომში ცნობილი ლიტერატორი და ბოტანიკოსი) ვუთხარი, შემიძლია სხვადასხვა ფერის ფურისულები გავზარდო, თუ საგანგებოდ შერჩეული ფერადი სითხით მოვრწყავ-მეთქი, რაც, რა თქმა უნდა, ზღაპარი იყო – მსგავსი რამის გაკეთება არასოდეს მეცადა. აქვე ვაღიარებ, რომ ბავშვობაში ხშირად მომიგონია ათასნაირი ტყუილი, რაც მხოლოდ და მხოლოდ გართობას და სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენას ისახავდა მიზნად. მაგალითად, ერთხელ მამაჩემის ბაღში საუკეთესო ხილი დავკრიფე და ბუჩქებში დავმალე. მერე ქოშინით გავვარდი სახლისკენ იმის სათქმელად, მოპარული ხილის სამალავს მივაგენი-მეთქი.³

დაახლოებით იმავე დროს, ან შესაძლოა ცოტა უფრო ადრეც, ზოგჯერ საქმელად ხილს ვიპარავდი და საამისოდ ჭკვიანური რალაც მქონდა მოფიქრებული. მაღალი კედლით გარშემორტყმულ ბაღს, რომელშიც სამზარეულოდან გავდიოდით, გვიან საღამოს კეტავდნენ, თუმცა იქვე მდგარი ხეებიდან ამ კედელზე გადაძრო-მას იოლად ვახერხებდი. მერე გრძელ ჯოხს ყვავილის მოზრდილი

2. უილიამოლპორტლეიტონი (1805-1899) – ცნობილი ბოტანიკოსი, ჩარლზ დარვინის თანაკლასელი (დარვინის შვილიშვილის, ნორა ბარლოუს შენიშვნა).

3. სხვათა შორის, პაპაჩემი მამას ასეთი საქციელისთვის არასოდეს უწყრებოდა და გამომგონებლობას უწონებდა კიდევ (ჩარლზ დარვინის ვაჟის, ფრანსის დარვინის შენიშვნა).

ქოთნის ძირზე დატანებულ ხერელში გავუყრიდი, ქოთანს მაღლა აგწვედი, მწიფე ატმებსა თუ ქლიავენს გავუსწორებდი, შევარხევედი და ისინიც ქოთანში ცვიოდნენ – ჩემი გარჯის საზღაურად. ჯერ კიდევ ძალიან პატარა ვიყავი, როცა ხეხილის ბაღში ვაშლებს ვიპარავდი და შორიახლოს მდგარ კოტეჯში მცხოვრებ ბიჭებს ვაძლევდი. თუმცა სანამ ხილს დავურიგებდი, ვუჩვენებდი, რა სწრაფად შემეძლო სირბილი და რა საოცრადაც უნდა ჩანდეს, ვერაფრით ვხვდებოდი, რომ ჩემი სისწრაფით გაოცებულები და აღტაცებულები, მოწონებას მხურვალედ მხოლოდ ვაშლების ხათრით გამოხატავდნენ. კარგად დამამახსოვრდა, როგორ მსიამოვნებდა მათი ქება – ასე სწრაფად მორბენალი არავინ გვინახავსო!

მისტერ ქეიზის სკოლაში გატარებული დროიდან მკაფიოდ მხოლოდ ერთი შემთხვევა მახსოვს – ვიღაც ჯარისკაცის დასაფლავება. მიკვირს, როგორ ნათლად მიდგას თვალწინ ცხენი, რომლის უნაგირზეც მამაკაცის ჩექმები და შაშხანა იყო მიმაგრებული, და კიდევ – საფლავთან თოფების გასროლა. ამ სანახაობამ ერთიანად ამიფორიაქა, რაც კი პოეტური წარმოსახვა არსებობდა ჩემში.⁴

1818 წლის ზაფხულში დოქტორ ბატლერის საშუალო სკოლაში გადამიყვანეს შრუზბერიში. იქ 7 წელი დავრჩი, 1825 წლის შუა ზაფხულამდე, როცა უკვე თექვსმეტისა ვიყავი. სკოლაში ღამითაც გვტოვებდნენ და სრულფასოვანი მოსწავლეობის ეს ხანა ჩემთვის ბევრის მომცემი აღმოჩნდა; თუმცა, რამდენადაც სახლამდე მანძილი სულ ერთი მილი იყო, დიდ შესვენებებზე ხშირად გავრბოდი ხოლმე შინ და ზოგჯერ საღამოობითაც ვახერხებდი – ჭიშკრის ჩაკეტვამდე. ვფიქრობ, ეს ბევრი თვალსაზრისით იყო სასარგებლო, რადგან სახლის გარემოს დიდი ხნით არ ვწყდ-

4. უცნაურია, რომ ამ ჯარისკაცის დაკრძალვამ ასევე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა შრუზბერიში მცხოვრებ კიდევ ერთ ბიჭზე: მისტერ გრეტონი მოგონებების წიგნში წერს – ბავშვობაში ნანახი ეს სცენა ისე ჩამებეჭდა მეზსიერებაში, შემძლია თვალდახუჭულმა მივაგნო საცოდავი დრაგუნის საფლავს სენტ-ჩედის ეკლესიის ეზოში (ფრანსის დარვინის შენიშვნა).

ბოდი. მახსოვს, მოსწავლეობისას, პირველ ხანებში, ბევრჯერ თავპირისმტკრევით მირბენია, სკოლაში დროზე დაბრუნება რომ არ დამგვიანებოდა და რადგან კარგი მორბენალი ვიყავი, უფრო ხშირად წარმატებასაც ვაღწევდი; თუკი საფრთხეს ვიგრძნობდი, მაშინ უკვე ღმერთს ვთხოვდი დახმარებას სრულიად გულწრფელად და ახლა ისიც მახსენდება, წარმატებებს უფრო ლოცვას რომ ვუმაღლოდი, ვიდრე საკუთარ ფეხმარდობას და თან ისიც მაკვირვებდა, ლოცვა ასე როგორ მეხმარება-მეთქი.

მამაჩემისგანაც და უფროსი დებისგანაც გამიგონია, რომ ჯერ კიდევ სულ პატარას ძალიან მყვარებია მარტო ხეტიალი; ოღონდ არ ვიცი, ამ დროს რას ვფიქრობდი. არადა, ფეხით სიარულისას ფიქრები ხშირად გამიტაცებდა ხოლმე. ერთხელაც, სკოლისკენ მიმავალი, გორაკზე წამომართულ შრუბერის ძველ ციხესიმაგრესთან მივუყვებოდი ვინრო ბილიკს და უცებ ფეხი დამიცდა, გადავვარდი – სულ რაღაც 7-8 ფუტის სიმაღლიდან. და მაინც, ამ ძალიან ხანმოკლე, მოულოდნელი ვარდნისას იმდენმა ფიქრმა გამიელვა თავში, თავადაც ძალიან გამიკვირდა და სრულიად შეუსაბამოდ მეჩვენება იმასთან, რაც, რამდენადაც ვიცი, ფიზიოლოგებმა უკვე დაამტკიცეს: თითოეული აზრის გაჩენას საგრძნობი დრო სჭირდება.

სკოლაში რომ შევედი, ალბათ მეტისმეტად მიამიტი ბავშვი ვიყავი. ერთ დღეს ჩემმა თანაკლასელმა, გვარად გარნეტმა, საკონდიტროში წამიყვანა და ნამცხვრები იყიდა, ოღონდ ფული არ გადაუხდია, რადგან გამყიდველი თურმე ენდობოდა. ქუჩაში რომ გამოვედით, ვკითხე: რატომ არ გადაიხადე-მეთქი და იმანაც მაშინვე მიპასუხა: არ იცი, რომ ბიძაჩემმა ამ ქალაქს დიდი ფული დაუტოვა იმ პირობით, რომ ყველა მოვაჭრე უფასოდ მისცემდა საქონელს ნებისმიერს, ვისაც კი ბიძაჩემის ძველი ქუდი ეხურებოდა – აი, ამნაირადო. იქვე მიჩვენა, რასაც გულისხმობდა. მერე კიდევ ერთ მაღაზიაში შევიდა, სადაც ასევე ენდობოდნენ, რაღაც უმნიშვნელო ნივთი მოითხოვა, ქუდიც სათანადოდ მოირგო თავ-

ზე და ნავაჭრიც, რა თქმა უნდა, ფულის გადაუხდელოდ წამოიღო. ქუჩაში რომ გამოვედით, მითხრა: ახლა უჩემოდ მიდი იმ საკონდიტროში (დღემდე მახსოვს მისი ზუსტი ადგილმდებარეობა), ამ ქუდს გათხოვებ, დაიხურე, როგორც წესი და რიგია და წამოიდე, რაც გაგიხარდებაო. რა თქმა უნდა, ძალიან გამახარა გულუხვმა შემოთავაზებამ. საკონდიტროში შევედი, ქუდი სწორედ ისე დავიხურე, როგორც მასწავლეს, ნამცხვრებიც ავარჩიე და ის იყო, წამოსვლას ვაპირებდი, რომ გამყიდველი ისეთი სახით გამომენთო, ნამცხვრები ხელიდან დამიცივდა და დაფეთებული გამოვვარდი გარეთ. იქ კიდევ, ჩემდა გასაკვირად, გულიანად ახარხარებული ჩემი ვითომდა მეგობარი გარნეტი დამხვდა.

ჩემს სასარგებლოდ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ბავშვობაშივე გამოვიჩინე გულკეთილობით, ოღონდ ამას მთლიანად დების დარიგებებსა და პირად მაგალითს უნდა ვუმადლოდე. რა თქმა უნდა, დარწმუნებული არ ვარ, რომ გულკეთილობა ბუნებრივი ან თანდაყოლილი თვისებაა. ძალიან მიყვარდა კვერცხების შეგროვება, მაგრამ ჩიტის ბუდიდან არასოდეს ამომიღია ერთ ცალზე მეტი, იმ ერთადერთი შემთხვევის გარდა, როცა ყველა ამოვიღე არა სიხარბის გამო, არამედ უფრო სატრაბახოდ.

გატაცებული ვიყავი თევზაობითაც. შემეძლო საათობით ვმჯდარიყავი მდინარის თუ ტბის ნაპირას, ტივტივას მიჩერებული. ერთხელ მეერში⁵ მითხრეს, შეგიძლია ჭიაცყელები მარილიანი წყლით დახოცოო, და იმ დღის მერე ანკესზე ცოცხალი ჭიაცყელა აღარ წამომიცვამს, თუმცა კი ალბათ სწორედ ამის გამო იმდენ თევზს ველარ ვიჭერდი, რამდენსაც ადრე.

მგონი, პირველ კლასში ვსწავლობდი ან კიდევ უფრო პატარაც ვიყავი, როცა დიდი სისასტიკე ჩავიდინე – ლეკვს მხოლოდ იმიტომ

5. იქ ვეჯვუდების მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვრობდა, ჩვენი შორეული ნათესავები, რომელთა ერთ-ერთი ქალიშვილი შემდგომში ჩარლზის ცოლი გახდა. მეერი შროპშირის საგრაფოს შუაგულში მდებარეობს, შრუზბერიდან ოციოდე მილის სავალზე (ნორა ბარლოუს შენიშვნა).

ვცემე, უპირატესობის განცდა რომ დამეკმაყოფილებინა. თუმცა, ეტყობა, დიდი გამეტებითაც არ მიცემია, რადგან ლეკვს ერთიც არ დაუნკმუტუნია, რაც შემიძლია, დაბეჯითებით ვამტკიცო – ეს ამბავი ხომ სახლის შორიახლოს ხდებოდა. მომხდარმა იმდენად დამიმძიმა სინდისი, ახლაც კი მახსოვს, ზუსტად რა ადგილას ჩავიდინე დანაშაული. სინდისის ქენჯნას ალბათ ისიც მიმძაფრებს, რომ ძაღლები მაშინაც და მერეც მთელი გულით მიყვარდა. როგორც ჩანს, ამას ძაღლებიც გრძნობდნენ, რადგან მე უფრო მეტი სიყვარულით მექცეოდნენ, ვიდრე საკუთარ პატრონებს.

ვერაფერი იქნებოდა ჩემი გონების განვითარებისთვის დოქტორ ბატლერის სკოლაზე უარესი, რომელიც კლასიკური ტიპის იყო და სადაც არაფერს ასწავლიდნენ, ცოტა ანტიკური ხანის გეოგრაფიისა და ისტორიის გარდა. ეს სკოლა, როგორც განათლების მიღების საშუალება ჩემთვის ცარიელი ადგილი გამოდგა. მთელი ცხოვრების მანძილზე, უკიდურესად უუნარო აღმოვჩნდი თუნდაც ერთი რომელიმე ენის კარგად სწავლაში. სკოლაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ლექსების წერას, მე კი ეს კარგად არასოდეს გამომდიოდა. საბედნიეროდ, ბევრი მეგობარი მყავდა, ძველი ლექსების არჩევანიც დიდი იყო და ხანდახან სხვების დახმარებითაც, ნებისმიერ დავალებას თავს მაინც ვართმევდი. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა წინა დღის გაკვეთილის დაზეპირებას, რასაც ბევრად უფრო იოლად ვახერხებდი, რადგან დილაობით სამლოცველოში ვერგილიუსისა თუ ჰომეროსის 40-50 ტაეპის ზეპირად სწავლა შემეძლო. ესეც სრულიად უაზრო და უშედეგო შრომა იყო – ორი დღის მერე ყველაფერი მაგინწყებოდა. თუმცა ზარმაცი მართლა არ ვყოფილვარ და თუ ამ ძალათი გართმევებს არ ჩავთვლით, საგნებს პატიოსნად ვსწავლობდი და არც ვინმესგან გადაწერას ვცდილობდი ხოლმე. რაც შეეხება პოეზიას, სიამოვნება მხოლოდ ჰორაციუსის რამდენიმე ოდის სწავლისას მივიღე და ზოგადად, ამ პოეტით აღფრთოვანებული ვიყავი.

სკოლა რომ დავამთავრე, ჩემი ასაკის კვალობაზე არც გამოვირჩეოდი და არც ჩამორჩენილი ვიყავი. ვფიქრობ, მასწავლებლებიც და მამაჩემიც ჩვეულებრივ ბიჭად მთვლიდნენ და ჩემს ინტელექტს როგორც საშუალოზე საგრძნობლად დაბალს, ისე აფასებდნენ. ძალიან მეტკინა გული, როცა ერთხელ მამაჩემმა მითხრა: თოფის სროლის, ძაღლებთან თამაშის და ვირთხების დეენის მეტი არაფერი გაინტერესებს – ასე თავსაც მოიჭრი და ოჯახსაც შეარცხვენო. თუმცა მამაჩემი, ყველაზე კეთილი ადამიანი, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ და ვის ხსოვნასაც უდიდესი სიყვარულით ვინახავ გულში, ეტყობა, რალაცაზე იყო გაბრაზებული, როცა, არცთუ სამართლიანად, ასეთ სიტყვებს მეუბნებოდა.

მინდა, რამდენიმე გვერდი დავუთმო მამაჩემზე საუბარს. ის მრავალი თვალსაზრისით გამორჩეული კაცი იყო.

სიმაღლით ექვსი ფუტი და ორი ინჩი იქნებოდა, მხრებგანიერი და წარმოსადეგი – იმდენად, რომ მასზე დიდი არავინ მინახავს. ბოლოჯერ რომ აიწონა, 24 სტოუნი იყო, თუმცა მერე კიდევ უფრო მოიმატა წონაში. მთავარ თვისებებს – დაკვირვებულობასა და თანაგრძნობის უნარს ისე უშურველად ავლენდა, მსგავსს ვერავისგან გავიხსენებ. თანაგრძნობას მარტო სხვების გასაჭირის დროს კი არ გამოხატავდა, გარშემო მყოფების სიხარულსაც იზიარებდა – უფრო მეტადაც კი. სულ იმას ცდილობდა, სხვებისთვის მიენიჭებინა სიამოვნება და მართალია, მფლანგველობა სძულდა, მაგრამ მაინც არაერთხელ გამოუჩენია დიდი ხელგაშლილობა. მაგალითად, ერთ დღეს შრუზბერელი წვრილი მენარმე მიადგა და უთხრა – გაკოტრება მელოდება, თუკი დაუყოვნებლივ ვერ ვისესხებ 10 000 გირვანქა სტერლინგს, ოღონდ გირაოდ გასაცემი არაფერი მაქვსო. მამაჩემმა მისგან დასაბუთებული პირობები მოისმინა, თუ საბო-

ლოოდ როგორ მოახერხებდა ვალის გასტუმრებას და რაკი ადამიანის ცნობის ალლოთი გამოირჩეოდა, მიხვდა, რომ გასაჭირში ჩავარდნილის ნდობა შეეძლო. მოკლედ, საჭირო თანხა ასესხა, მისთვის – იმ დროს ახალგაზრდა კაცისათვის მეტისმეტად დიდიც კი, და დათქმულ დროს, დაპირებისამებრ, ვალი დაიბრუნა.

ვეიქრობ, თანაგრძნობა იყო ის უნარი, რამაც მისცა ნდობის მოპოვების უსაზღვრო ძალა, და შედეგად ძალიან წარმატებული ექიმის სახელიც მოუტანა. საექიმო საქმიანობა რომ დაიწყო, ოცდაერთისაც არ იყო, არადა, პირველივე წელიწადს მიღებული ანაზღაურებით წყვილი ცხენიც შეიძინა და მსახურიც დაიქირავა. მომდევნო წელს პრაქტიკა უფრო გააფართოვა და ასე გრძელდებოდა სამოც წელიწადზე მეტხანს, ვიდრე საქმეს თავს დაანებებდა. მისი, როგორც ექიმის, დიდი წარმატება კიდევ უფრო გასაოცარი იყო იმის გამოც, რომ როგორც მიაბობოდა, თავიდან ექიმობა იმდენად სძულდა, შემოსავლის სხვა, თუნდაც მცირე წყარო რომ ჰქონოდა ან მამამის დაეტოვებინა მისთვის სხვა არჩევანი, ამ საქმეს ვერაფერი დაანყებინებდა. ცხოვრების მიწურულს ნებისმიერი ოპერაციის წარმოდგენაც კი ლამის ცუდად ხდიდა, გასისხლიანებული ადამიანის დანახვას ვერ იტანდა და ეს შიში მეც გადმომედო – მახსოვს, მოსწავლეობისას როგორი შეძრწუნებული ვკითხულობდი, თუ არ ვცდები, პლინიუსის ამბავს, თბილი წყლის აბაზანაში სისხლისაგან რომ იცლებოდა. მამამ ორი უცნაური ამბავი მიაბო სისხლდენის თაობაზე – ერთი მასვე გადახდენოდა თავს, როცა ახალგაზრდობაში მასონი გამხდარიყო. შეხვედრაზე მიდიოდნენ, როცა ერთ მეგობარს, თავადაც მასონს, რომელმაც თითქოს არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რას იწვევდა მამჩქემში სისხლის დანახვა, მისთვის სხვათაშორის უთქვამს – ორი წვეთი სისხლი რომ დაკარგო, დიდად ალბათ არც იდარდებო. როგორც ჩანს, ლოჟის წევრად მიღებისას მამას თვალეტი აუხვიეს და სახელოებიც აუწიეს. არ ვიცი, დღესაც სრულდება თუ არა ამგვარი ცერემონია, მაგრამ მამა ამ შემთხვევას იხსენებდა, როგორც წარმოსახვის ძალის გამოვლინების

საუკეთესო მაგალითს – თურმე აშკარად გრძნობდა, როგორ მოუყვებოდა მკლავზე სისხლის ნაკადი და მერე თვალებს არ უჯერებდა, როცა იმავე მკლავზე ნაჩხვლეტის კვალიც კი არ აჩნდა.

ერთხელაც ვილაც ლონდონელი ყასაბი პაპაჩემთან მისულა რჩევის საკითხავად და სწორედ ამ დროს მძიმე ავადმყოფი მიუყვანიათ, ვისაც საჩქაროდ სისხლის გამოშვება სჭირდებოდა. ყასაბს სთხოვეს, ავადმყოფისთვის მკლავი დაეჭირა, მაგრამ იმას ბოდიში მოუხდია და ოთახიდან გასულა. მოგვიანებით პაპასთვის აუხსნია – მართალია, ჩემი ხელით იმდენი პირუტყვი მყავს დახოცილი, ლონდონში ვერავინ შემედრება, მაგრამ იმ კაცის სისხლი რომ დამენახა, გული წამივიდოდაო.

ნდობის მოპოვების განსაკუთრებული უნარის გამო ძალიან ბევრი პაციენტი, მით უფრო ქალები, მამაჩემს იმგვარ გასაჭირსაც კი უზიარებდნენ, მხოლოდ მოძღვარს რომ გაანდობდნენ. როგორც მეუბნებოდა, ისინი საუბარს ჯანმრთელობაზე ზოგადი ჩივილით იწყებდნენ, თუმცა, გამოცდილების წყალობით, მამა სწრაფადვე ხვდებოდა, რაც უნდა ყოფილიყო ამ აღსარებების მთავარი მიზეზი. ხშირ შემთხვევაში, მასთან მისულების სანუხარი უფრო წარმოსახულს ჰგავდა და როცა სათქმელისგან ბოლომდე იცლებოდნენ, ხორციელ ტკივილებზე ნაკლებად ჩიოდნენ ხოლმე. ყველაზე ხშირად სალაპარაკო თემად მაინც ოჯახური უსიამოვნებები ჰქონდათ. როცა კაცები ცოლების გამო ჩიოდნენ და ცოლქმრული დაპირისპირებაც შორს წასულს ჰგავდა, მამა ერთსა და იმავე რჩევას აძლევდა, რასაც ყოველთვის მოჰქონდა წარმატება, თუკი ქმარი ამ რჩევას არ გადაუხვევდა. მას ცოლისთვის უნდა ეთქვა – გულწრფელად ვწუხვარ, ერთად ბედნიერი ცხოვრება რომ არ გამოგვდის; ეჭვიც არ მეპარება, უჩემოდ თავს ბევრად უფრო ბედნიერად იგრძნობ; მე შენ საერთოდ არაფერში გადანაშაულებ (სხვათა შორის, ქმრებს ყველაზე მეტად სწორედ ამ სიტყვების წარმოთქმა უჭირდათ ხოლმე), არც ნათესავებთან, არც ნაცნობ-მეგობრებთან

შენზე საყვედური არ დამცდებო, და ბოლოს – ჩემი ქონებიდან ზუსტად იმდენს გინილადებ, რისი საშუალებაც მაქვსო. მერე ქალს, ქმრისავე თხოვნი, ეს წინადადება კარგად უნდა აენონ-დაენონა და რამდენადაც შესადავებელს ვერაფერს იპოვიდა, წყენა მალევე გადაუვლიდა; იმასაც მიხვდებოდა, რა უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა – ქმარს ვერანაირ ბრალდებას ვერ წაუყენებდა, განქორწინებას კი ის აქეთ სთხოვდა. ამიტომ, როგორც წესი, ქალი თავადვე უწყებდა ხვენას ქმარს – განშორებაზე არც კი ეფიქრა და მერე, ჩვეულებრივ, ბევრად უკეთესადაც იქცეოდა ხოლმე.

ნდობის მოპოვების უნარის გამო მამას ათასგვარი უბედურებისა თუ დანაშაულის არაერთი უცნაური აღსარებაც მოუსმენია. ბევრჯერ უთქვამს, ვერ წარმოიდგენთ, რამდენ გაუბედურებულ ცოლს ვიცნობდიო. ზოგ შემთხვევაში წყვილები თურმე მშვენივრად ცხოვრობდნენ ოცი-ოცდაათი წელიწადი და მერე უცებ ერთმანეთის მიმართ მწარე სიძულვილის გრძნობა უჩნდებოდათ. მამა ამას შვილების გაზრდითა და საკუთარი გზით წასვლით ხსნიდა, რის შემდეგაც მშობლებს სწორედ ის ეცლებოდათ ხელიდან, რაც მათ ყველაზე მეტად აკავშირებდა ერთმანეთთან.

მამაჩემის ყველაზე გამორჩეული ღირსება კი ადამიანის ხასიათის ცნობა იყო და კიდევ – იმათი აზრების წაკითხვის უნარი, ვისაც თუნდაც მხოლოდ ზედაპირულად იცნობდა. ბევრჯერ შევსწრებივართ ამ უნარის გამოვლენას, რომელიც ხანდახან თითქმის ზებუნებრივი გვეგონა. მამაჩემი ამან უვარგისი მეგობრების შეძენისგანაც იხსნა (ერთადერთი შემთხვევის გარდა, თუმცა იმ კაცის ბუნება მაშინაც სწრაფად ამოიცნო). შრუზბერიში ერთი უცნაური ღვთისმსახური ჩამოვიდა, რომელიც თავიდან ყველას შეძლებულად ადამიანად მოეჩვენა – სტუმრები არ მოკლებია და თავად მასაც დიდი სიამოვნებით ეპატიჟებოდნენ. ერთ დღეს მამაჩემიც ესტუმრა, და შინ დაბრუნებულმა ჩემს დებს უთხრა: არც ეს კაცი და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრი ჩვენს სახლში სტუმრად არასოდეს

მოიწვიოთ. დარწმუნებული იყო, რომ მისი ნდობა არ შეიძლებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ ღვთისმსახური უცებ გაუჩინარდა. როგორც გაირკვა, ჩვენს ქალაქში დიდი ვალი დასდებოდა და საერთოდაც, ბევრით არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი თაღლითისაგან. შემოიძლია მოვიყვანო ისეთი სრული ნდობის მაგალითიც, როგორის გამოვლენასაც ბევრი ვერ გაბედავდა. ერთ დღეს მამას უცნობი ირლანდიელი ჯენტლმენი მიადგა და უთხრა – საფულე დაგვარგე, ირლანდიიდან ფულის გადმორიცხვამდე კი შრუზბერიში სერიოზული სირთულეები შემექმნებაო; მოკლედ, სთხოვა, 20 გირვანქა სტერლინგი ესესხებინა მისთვის, რაც მან დაუყოვნებლივ შეუსრულა, რადგან ნათქვამში ეჭვი არ შეპარვია. როგორც კი ის დრო გავიდა, რაც ირლანდიიდან ჩვენამდე ფოსტის ჩამოსვლას სჭირდებოდა, იმ კაცმა მამას მართლაც გამოუგზავნა სამადლობელი წერილი, სადაც ნათქვამი იყო, ბარათს ინგლისის ბანკის 20 გირვანქა სტერლინგის ბანკნოტსაც ვურთავო. მაგრამ კონვენტში მსგავსი არაფერი აღმოჩნდა. მამაჩემს ვკითხე, არც ახლა გეპარება ეჭვი იმ კაცის პატიოსნებაში-მეთქი, რაზეც მიპასუხა – ოდნავაც არაო. მეორე დღეს ბოდიშებით სავსე წერილი მივიღეთ, რადგან იმ კაცს (როგორც ჭეშმარიტ ირლანდიელს) წინა დღეს გამოგზავნილ წერილში ფულის ჩადება, უბრალოდ, დავინწყებოდა.

ერთმა ჩვენმა ნათესავმა⁶ მამას რჩევა ჰკითხა თავისი ვაჟის თაობაზე, რომელიც უცნაური სიზარმაცით გამოირჩეოდა და საქმეს გულს ვერ უდებდა. მამამ უთხრა, მაგ სულელს ალბათ ჰგონია, რომ დიდ ფულს უანდერძებ და ჩემგან გადაეცი, ერთ პენისაც ვერ ეღირსებითქო. დარცხვენილმა კაცმა აღიარა, ეგ აზრი ჩემს შვილს მართლაც აქვს აკვიატებულიო, მამაჩემს კი ჰკითხა: როგორ მიხვდი ამას, რანაირად გამოიცანიო? – რაზეც მამამ უპასუხა: ნარმოდგენა არა მაქვსო.

6. იგულისხმება ჩარლზ დარვინის ძმის, რობერტის სიძე, ჰენრი პარკერი, რომელმაც 1824 წელს შეირთო რობერტის უფროსი ქალიშვილი, მერიენი (ნორა ბარლოუს შენიშვნა).

სხვა დროს მამას ერთმა გრაფმა სულით ავადმყოფი, ოღონდ სრულიად მშვიდი ძმისშვილი მიუყვანა. ახალგაზრდა კაცის ავადმყოფობა ის იყო, რომ ყველა დანაშაულს იბრალებდა, რაც კი ცისქვეშეთში არსებობს. როცა მამა ამ ამბავთან დაკავშირებით ავადმყოფის ბიძას ესაუბრებოდა, ასეთი რამ უთხრა – დარწმუნებული ვარ, ერთ საზარელ დანაშაულში თქვენი ძმისშვილი მართლაც ბრალეულიაო. გაოცებულმა გრაფმა წამოიძახა: ღმერთო ჩემო, დოქტორ დარვინ, ეგ ამბავი ვინ გაგიმხილათ, გვეგონა, ოჯახის გარეთ არავინ იცოდაო. ამ შემთხვევის შესახებ მამამ მრავალი წლის შემდეგ მიაბო და ცხადია, მეც ვკითხე: მაინც როგორ გაარჩიე ერთმანეთისგან ნამდვილი და მოგონილი დანაშაულები-მეთქი? პასუხიც ისეთი მივიღე, მისგან სრულებით რომ არ გამკვირვებია – ახსნა თავადაც არ შემიძლიაო.

მომდევნო ამბავიც მამაჩემის გასაოცარი ალღოს კიდევ ერთ მაგალითად გამოდგება: ლორდმა შერბერნმა,⁷ შემდგომში ლენსდოუნის პირველმა მარკიზმა, განსაკუთრებით გაითქვა სახელი (ასე შენიშნავს ერთგან მაკოლეი) ევროპის პოლიტიკური ამბების ცოდნით, რითაც თავადაც დიდად ამაცობდა. ის სამედიცინო რჩევების მისაღებად მამასთან დადიოდა ხოლმე და ჰოლანდიის მდგომარეობაზეც ესაუბრებოდა. მამას მედიცინა ლეიდენში ჰქონდა ნასწავლი და სტუდენტობისას რომელიღაც მეგობართან ერთად იმ ქვეყანაში ფეხითაც უმოგზაურია. მეგობარს ნაცნობი მღვდლის სახლში სტუმრობა შეუთავაზებია (ვუნოდოთ მას ღირსი ბატონი A, რადგან ამ ღვთისმსახურის გვარი აღარ მახსოვს), ვისაც ცოლად ინგლისელი ქალი ჰყავდა. მამას ძალიან მოშიებოდა, არადა, სუფრაზე არაფერი იღო ყველის გარდა, რასაც ის არასოდეს ჭამდა. ამ ამბავმა მოხუცი ქალი გააკვირვა და შეაწუხა კიდევ. თურმე მამას არწმუნებდა, საუკეთესო ყველია, ბოვუდიდან გამომიგზავ-

7. სწორი ფორმაა *შელბერნი*, თუმცა ხელნაწერში ყველგან ამ სახით გვხვდება (ნორა ბარლოუს შენიშვნა).

ნეს, ლორდ შერბერნის მამულიდანო. მამას გაკვირვება – რატომ უნდა გამოეგზავნათ ქალისთვის ყველი ჰოლანდიაში ინგლისიდან, თუმცა ამაზე მანამდე აღარ უფიქრია, სანამ მრავალი წლის შემდეგ უეცრად არ გაუნათდა გონება, როცა მასთან მისულმა ლორდმა შერბერნმა ჰოლანდიაზე წამოიწყო ლაპარაკი. აი, მაშინ უთხრა მამამ, რაც ღირს ბატონ A-სთან სტუმრობისას ვნახე, მაფიქრებინებს, რომ ის ძალიან უნარიანი და ჰოლანდიის სახელმწიფო საქმეებში კარგად გარკვეული ადამიანი უნდა ყოფილიყო. ამის თქმა იყო და შეუმჩნევია, როგორ დაძაბულა მისი სტუმარი და დაუყოვნებლივ როგორ შეუცვლია საუბრის თემა. მეორე დღით მამას მისგან ბარათიც მიუღია. ლორდი შერბერნი ატყობინებდა – დაგეგმილი მგზავრობა გადავდე და ძალიან მინდა თქვენთან ისევ შეხვედრაო. მისულა თუ არა, მაშინვე საქმეზე გადასულა: დოქტორო დარვინ, ჩემთვისაც და ღირსი ბატონი A-სთვისაც საგანგებო მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, როგორ გაიგეთ, სწორედ ეს ადამიანი რომ მანვდის ცნობებს ჰოლანდიის შესახებო. მამას მოუწია, თავიდან ბოლომდე აეხსნა მისთვის საქმის ვითარება და როგორც ვარაუდობდა, ლორდი შერბერნი დიდად გაუოცებია მის დიპლომატიურ უნარს, ასე ოსტატურად დაედგინა საკუთარი ვარაუდის სისწორე. მერეც, კიდევ მრავალი წელი, მამა უამრავ გულითად მოკითხვას იღებდა ლორდისგან, სხვადასხვა საერთო მეგობრის მეშვეობით. მე მგონი, იმან ეს ამბავი შვილებსაც უამბო, რადგან სერ ჩ. ლაიელმა წლების შემდეგ მკითხა: ხომ ვერ მეტყვი, რატომ იჩენს მარკიზი ლენსდოუნი (იმ პირველი მარკიზის შვილი თუ შვილიშვილი) ასეთ ინტერესს თქვენი და თქვენი ოჯახის მიმართ, როცა ნანახიც კი არ ჰყავხართო? ხოლო როცა ათენეუმის კლუბში 40 ახალ წევრს ამატებდნენ (40 ქურდს, როგორც მაშინ ეძახდნენ), ძალიან ბევრი ცდილობდა მათ შორის მოხვედრას; მე კი, ვისაც მსგავსი არაფერი უთხოვია, ლორდმა ლენსდოუნმა თავადვე შემომთავაზა განევრინება და ჩემს არჩევასაც მიაღწია. თუკი ვარაუდი არ მეშლება, მოე-